გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

საქართველოს კანონში

,,დაზღვევის შესახებ“ შესწორებების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზს წარმოადგენს ,,დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში ტექნიკური ხასიათის შესწორებების შეტანის აუცილებლობა, რაც განპირობებულია მიმდინარე წელს აღნიშნულ სფეროში განხორციელებული ცვლილებებით, კერძოდ, დაზღვევის სფეროს ზედამხედველობის ფუნქციის გადატენით ეროვნული ბანკიდან სსიპ. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურში.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიღების მიზანს წარმოადგენს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა მიმდინარე წელს განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებთან, რომლებიც შეეხებოდა დაზღვევის სფეროს ზედამხედველობას.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

საქართველოს კანონში ,,დაზღვევის შესახებ“ შეტანილ იქნა შემდეგი ტექნიკური ხასიათის შესწორებები:

21^1–ე მუხლის I ნაწილში ჩამოთვლილი სანქციები, რომლებიც ვრცელდებოდა მხოლოდ ადმინისტრატორზე, ახალ კანონპროექტში იგივე სანქციები შესაძლოა, ასევე მზღვეველზეც გავრცელდეს.

22–ე მუხლის, მე–15 პუნქტში სადაზღვევო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად წარდგენილ დოკუმენტაციაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში მზღვეველი ვალდებული იყო წერილობით ეცნობა ეროვნული ბანკისთვის. ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სადაზღვევო საქმიანობის ზედამხედველობას ეროვნული ბანკის ნაცვლად ახორციელებს სსიპ. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, კანონის აღნიშნულ მუხლშიც საჭირო გახდა ეროვნული ბანკის ნაცვლად მითითება გაკეთებულიყო დღეს არსებულ საზედამხედველო ორგანოზე.

33[4]-ე მუხლის, მე–10 პუნქტში ნახსენები მე-7 პუნქტი და მე-7 „ა“ ქვეპუნქტი შესაბამისად შეიცვალა მე-9 პუნქტით და მე-9 „ა“ ქვეპუნქტით.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი სახსრების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტს მიღება გავლენას არ ახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდაზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გამოიწვევს ზეგავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპრექტით მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება ზეგავლენას არ იქონიებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვის წესი (პრინციპი):

კანონპროექტით არ არის გათვალისწინებული გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრა.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება და იზიარებს ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებული ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

აღნიშნული პროფესიის წამყვანი სპეციალისტები.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

წერილობითი შეფასებები არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორია პარლამენტის წევრი: დავით ონოფრიშვილი

ვ) კანონპროექტის ინიციატორი

კანონპროექტის ინიციატორია პარლამენტის წევრი: დავით ონოფრიშვილი